

საქართველო



წელი 3 მან.

პარასკევი, 6 აპრილი 1920 წ.

რეპუბლიკა

მთავრობის მოაგვა, სოციალური გაზეთი (ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით) სსსრკ-ის მსაგამი... გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან.

ოფიციალური განყოფილება

უცატი

1919-1920 წლის, მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

Table with 4 columns: № რიგში, თანამდებობის პირთა რიცხვი, თვიური ჯამური თვითუფლები, წლიური ჯამური თვითუფლები, წლიური ჯამური ყველასი. Includes sections for 'კარდანახის', 'საქარის ხანერგე', 'საქარის', 'ტფილისის', and 'სარდაფი'.

დან ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ვლადიმერ ყაფლანის ძე ვინაძე მისი ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად დანიშნისა გამო ამა წლის ივლისის 1-დან.

წარმოგვანდია იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დ. მიტრი დიდუბლიძე ამა წლის ივლისის 20 დან. იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

დეპარტამენტის დირექტორისა. 24 ივლისი, 1920 წ. № 284.

თანხმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აპრილის 8-ს დადგენილებისა თანხმდნის ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოსამართლო თანამდებობათა უმცროს კანდიდატად არჩილ ვასილის ძე კოკოჩაშვილი ამა წლის ივლისის 24 დან იმ პირობით, რომ მას ევალება 1/2 წლის განმავლობაში ჩააბაროს სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

დეპარტამენტის დირექტორი გ. ურდანი.

არაოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

27 ივლისის სხდომა. ბრძოლა ეპიდემიასთან.

ეპიდემიასთან საბრძოლველად 20 მილიონი მანეთი გადაიღოს. კრედიტი გადაეცეს შინ. საქუთა მინისტრს განკარგულებაში. ამის შესახებ სათანადო დეკრეტი დამუშავდებულ კრებაში შეიტანოს.

დადგენილება აჭარის მართვა-გამგეობის შესახებ.

მოისმინა რა განკარგულება მეჯლისის წარმომადგენელთა ბათუმის ოლქში მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ, მთავრობა ადგენს: არსებულ პირობებში შესაძლებელია ოლქში მოეწყოს მხოლოდ საგანგებო მართვა-გამგეობა შეფარდებული სამხედრო წესებთან. ხოლო მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ საშუალოდ მართვის მოსაწყობის მიზნად დამუშავდებულ კრებაში წარდგენილ იყოს ახლო მომავალში კანონ-პროექტი დემოკრატიულ საარჩევნო უფლების ნიადაგზე აგებულ ავტონომიურ მართვის ცხოვრებაში გატარებისა.

ქალბ ფულანის მკეთებელთა დხჯა.

ქალბ ფულანის მკეთებელთა სასჯელის კანონ-პროექტი გადაეცეს იუსტიციის მინისტრს დამუ. კრებაში წარსადგენათ. ამასთანავე იუსტიციის მინისტრს დაევალოს დამუშავებულ კრებაში საკითხის გარჩევის დროს, აღძრას საკითხი, რომ სასჯელში გათანასწორობულ იქნას, როგორც წინასწარ განხრახვით ქალბ ფულანის გამკეთებელნი, აგრეთვე მათი გამსაღებელნი; ორივე კატეგორიის დამნაშავენი დაიხვედნიან სამუდამო კატორღით.

ქალთა შრომის რაზმი.

ქართველ ქალთა შრომის რაზმისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის საკითხი დასასკვნელად თავდაცვის საბჭოს გადაეცეს.

რკინის გზაზე შედგენილ მუშაობა.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მოსამ. სახელოეთა და მუშათა მისაცემი ფული 6 თვის შედეგტ სამუშაოსი, რომელიც 102.000 მან-ჯდრის გადაიღოს 10 მილ. ფონდიდან.

იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის მინისტრის გამგზავრება. აგვისტოს 4, საღამოთი, ტფილისიდან ბათუმს სენატის პროკურორ გელაზარაშვილის თანხლებით გაემგზავრა იუსტიციის მინისტრი მ. არსენიძე.

სასამართლოს დაწესებულებანი ბათუმში.

ტფილისში დაბრუნდა სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ა. ყანჩელი, რომელიც იუსტიციის მინისტრის მიერ გაგზავნილი იყო ბათუმში სასამართლო დაწესებულებათა მსაგამად. ყანჩელმა იუსტიციის მინისტრს მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საოლქო სასამართლოს საპროკურორო ზედამხედველობის, მოპირიგებელ მოსამართლეების და სხვ. დაწესებ. საქმეებისა და ქონების მიღებ დასრულებულია. ყოველგვარი საქმე და ქონება ქუთაისის ოლქის სათანადო სასამართლოს ორგანოებს გადაეცა.

მიწათმოქმედ. სამინისტროში

კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი.

მიწათმოქმედების მინისტრმა ტფილისის კულტურულ-ტექნიკურ სასწავლებლის ინსპექტორათ აგრონომი ვ. ფალავანდიშვილი დანიშნა.

მამულების კონფისკაცია.

აფხაზეთის კომსარაატის მიწათმოქმედების განყოფილებამ ქ. სოხუმის ახლო მყოფ ახალ-ათონის სიმონ-კანანელის მონასტერს, გამოუცხადა, რომ მონასტრის მამული, რომელიც გუდაურის მაზრაში იმყოფება, ერთ-მევა მის. იგი გადაეცემა რესპუბლიკის კულტურულ მამულების ფონდს. მონასტრის ეძლევა უფლება ამ მამულის იჯარით აღუბისა, ხოლო წინდაწინ უნდა შეიტანოს იჯარის განსაზღვრული ფული. მონასტრის რწმუნებულმა მამართა მ. წათ-მოქმედების სამინისტროს თხოვნით, რათა მათ იჯარა შეუმკირონ. მონასტრის შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამფუძნებელი კრება

ავგისტოს 3 სხდომა

თავმჯდომარეობს ს. შიგინა. 6. მინიშნების მიხედვით მიღებულ იქნა დეკრეტი დაბა ყაზბეგში: გენ. გიორგი ყაზბეგის მამულ შენობისა და ინვენტარის შესაძენად 1.100.000 მან. გადადებისა. დეკრეტს წინააღმდეგ მისცეს ხმა ესერება, რომლებიც მოითხოვდნენ მამულის უფასოდ ჩამორთმევას.

განგრძობა მსჯელობისა შრომის ხელშეწყობის კანონ პროექტის შესახებ.

3. ბერეშვილი. საკითხი იმდენათ დადი და რთულია, რომ მეგონა ღირსი იყო იგი შესწავლის და ის იპოზიციის ორატორებია, რომლებიც გამოდიოდნენ ამ ტრიბუნაზე, იტყუოდნენ თუ ოს ფეჭობდნ მათი პარტიები ამ საკითხის შესახებ. სამუშაოთ ჩვენი ასეთი სიტყვები არ მოგვისმენია, ვერ გავიგონეთ სერიოზული კრიტიკა ამ კანონ-პროექტის შესახებ. ამხ. ლეო შენკელიამ სთქვა მუშათა კლასი მძიმე მდგომარეობაში არის, მისთვის არავინ ზრუნავს. ჩვენ სოციალ-დემოკრატიის და მუშათა კლას შორის არ არის განსხვავება. სოციალ-დემოკრატია და მუშათა კლასი ეს ორი მცნებაა, რომელიც ერთი ერთმანეთში მჭიდროთ არის გადახლართული. და ყოველივე ის რაც გაკეთებულა ჩვენში ეს მუშათა კლასის საქმე არის. შენკელია იძახდა დღევანდლამდე არ დაწერილა კანონი მუშათა შესახებ: საქართველოში არსებობს დემოკრატიული წყობილება, მაგრამ დღემდე არ დაწერილა რესპუბლიკანური კონსტიტუცია. ის რაც დღეს უნდა მივიღოთ მუშათა შესახებ, იგი ცხოვრებაში უკვე გაზარებულ არის დეკრეტების და პირობების სახით. აქ შენკელიამ სთქვა, რომ ეს კანონი არის მჩვენებული იმისა რომ ზავია კლასთა შორის. ეს არ არის მართალი. კანონში მოსჩანს კლასთა ბრძოლა, ეს კი ნაყოფი არის კლასთა ბრძოლის და მუშათა კლასს ბრძოლა რომ არ ეწარმოებინა, ასეთი კანონი არ

განკარგულებანი იუსტიციის მინისტრისა. 1 ივლისი, 1920 წ. № 251. განთავსდნენ თანამდებობიდან და წარმოგვანდია იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ტფილისის მაზრის მესამე უბანის გამომცდელის თანამდებობის აღმასრუ-

ლებელი ალექსანდრე სტეფანეს ძე იკონომიდი ამა წლის აგვისტოს 1-დან. № 278. დანიშნა ქუთაისის საპროკურორის უფროსის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად თეიმურაზ დემურია ამა წლის ივნისის პირველიდან. 24 ივლისი, 1920 წ., № 282. განთავსდნენ თანამდებობი-

დაიწერებოდა, ამ კანონით მუშათა კლასს ეძლევა ფართო ასპარეზი საბრძოლველად. თუ თქვენ კლასთა ბრძოლა წარმოდგენილ გავქვთ ისე, რომ უქველად რევოლუციების სროლა და ხმლის ტრიალი უნდა იყოს, მაშინ ეს არ იქნება კლასთა ბრძოლა. მშვიდობიანი მუშაობა იგივე კლასთა ბრძოლა არის. შენგელაია შეჩერდა რა კანონზე დეფექტით მარხნია ის, რომ აღნიშნულია აქ სასჯელი იმ პირთათვის, რომელნიც დაარღვევენ კანონს ეს არ არის დეფექტი. რუსეთში ბევრი კარგი კანონი იყო დაწერილი მუშათა შესახებ, მაგრამ ცუდი იყო ის, რომ მისი დამრღვევნი პასუხის გებაში არ ეძლეოდნენ. ჩვენ იმიტომ ვსწრდით ამ კანონში მის დამრღვევთათვის სასჯელს, რომ ვიცოდეთ მის დამრღვევნი გამოიწვევდნენ და მათთვის სასჯელის დაწესება მიზან შეწონილია: თქვენ ამას დეფექტით სთვლით და იმავე დროს მოითხოვთ მუშათა კლასის დაცვას. აქ შენგელაია შეეხო რა ნარდათ მუშაობას ეს თქვა. ასეთი წვრილმანებით დააქვეითეთ კანონის ნარდათ მუშაობა. თავის თავად ბოროტება არ არის. ჩვენ ვებრძოდით მას მაშინ, როდესაც ის იყო საშუალება რომ ზემოთ „სოკი“ ამოეწურინათ მუშათა კლასიდან. ეს იყო მუშათა კლასის ექსპლოატაციის სისტემა. ნარდათ მუშაობა წინათ ქმნიდა რა ზედმეტ ღირებულებას, კრიზისებს იწვევდა, რადგანაც მსოფლიო ბაზარი ისედაც საესე იყო საქონლით, ახლა კი დაინტერესებული ვართ ზედმეტ ღირებულების შექმნით იქ, სადაც მუშათათვის ნორმალური შრომის პირობებია, ეს მისაღება და ეს კარგად იცოდა მუშათა ყრობაში, რომელმაც დაადასტურა ნარდათ მუშაობის საჭიროება. შენგელაია ამის ორატორი ეხება იმ მუხლს თუ რა შინაგანი წესრიგი უნდა არსებობდეს ქარხნებში და ამტკიცებს, რომ შემდარია შენგელაია, რომელსაც გონია, რომ შინაგან წესრიგი მხოლოდ მუშების მიერ უნდა იქნას შექმნილი, ამას ჰქონდა მნიშვნელობა მაშინ, როდესაც არ იყო შრომის რეგლამენტაცია. ამ თავის დებულებას ორატორი მაგალითებით ამტკიცებს, ლოკოტიმა თავის სიტყვა დაივიწყა. რომ სიტყვა მუშათა კლასი ამ კანონს გულგრილად შეხვდა. საიდან დასკვნა, რომ ჰინდიფერენტობა არის ამ კანონის გარშემო. მუშათა კლასი მთელი ორი წლის განმავლობაში არჩევდა ამ კანონს და თუ ამ კანონის გარჩევის დროს დემონსტრაციებს და მანიფესტაციებს არ ახდენს ეს იმიტომ, რომ მან იცის იგი საიმედო ხალხის ხელში (ტაში) ლაპარაკობდა რა ინდიფერენტობაზე ლონტი, მან მოიგონა გრობის და ქალაქების მუშა მოსახლბურთა ყრობაზე გაიჩინა შრომა ხელშეკრულება. მაშასადამე ინდიფერენტობა არ ყოფილა და ამას არღვევენ თქვენვე სიტყვები. ნუ თუ თედო ლონტი ჰგონია მუშათა წარმომადგენელი იმას ჰქონდა, ვისაც უქველად ჰუქყიანი ხალათი აცვია. მან უნდა იცოდეს, რომ შეიძლება ინტელიგენტი იყო აღმნიანი და ამავე დროს მუშათა წარმომადგენელი და შეიძლება ბოსიაც იყოს და არავითარი წარმომადგენელი არ იყოს მუშათა კლასის. თუ ეს წარმოდგენილი კანონი ცუდია, სად არის სამაგერო. მე როგორც მუშა, დაინტერესებული ვარ კარგ კანონით, რატომ არ წარმოვიდგინო უკეთესი. აქ სიტყვა ლონტიმა მუშები ამ კანონს იწუნებენ. რომელი მუშები იწუნებენ მათ, ვისი სახელით ლაპარაკობთ. რად აწუნებთ ტყუილ უბრალოდ მუშათა კლასს. ორი წელიწადია, რაც ეს კანონი ორჩევა და კომისიის სხდომას ლონტის ფრაქციიდან არავინ არ დასწრებია მხოლოდ შენგელაია და ასათიანი დაიარბოდნენ სხდომაზე და იქ გვებრძოდნენ კიდევ, აქ ლონტიმა სიტყვა, რომ საქართველოს ბურჟუაზია ვერ შექმნის მრეწველობას. რა შუაში არის აქ ბურჟუაზია, ეს კანონი დაიწერა არა ბურჟუაზიისათვის, არამედ მეურნეობა-მრეწველობისათვის, რაშია მუშათა კლასი დაინტერესებული არის. ორატორი ამტკიცებს, რომ მრეწველობა და ბურჟუაზია ერთი და იგივე არ არის. სოც.-დემოკრატია ებრძოდა რა ბურჟუაზიას იგი ყოველთვის იცავდა მრეწველობას. ბურჟუაზია თავის კლასიურ ინტერესებს ასაღება ხან ნაციონალურ ინტერესებად ხან მრეწველობის ინტერესებად. თქვენმა ჯგუფმა (უბრუნდება მემარჯვენებს) თავი მიანება მრეწველობას. ნაც.-დემოკრატ. ადგილიდან: რატომ თქვენ არ მოკიდეთ ხელი. სადაც უნდა მოკიდეთ ხელი წარმოება ფეხზე დგება (ასათიანი: რა გააკეთეს მერვე) თქვენ მიერ ომებით დადგრიულ ამ ერთ წელიწადში როგორ ავაყვავებთ. ჩვენ ვწრომობთ და თქვენ კი არა. უბედურებაც სწორედ ამაში არის თქვენთვის მრეწველობა, მეურნეობა ომების სავანი არის და იყო, თქვენთვის მეურნეობა,

როგორც კულტურის, ერის აყვავების საგანი არ ყოფილა. როგორი იყო მუშათა კანონმდებლობა მაშინ, როდესაც მუშათა კლასი მოუყუებული იყო ბურჟუაზიის მიერ ფეხებით და ჩექმებით. სანამ მუშათა კლასი, როგორც პოლიტიკური ძალა, ორგანიზაციულად შეკავშირებული არ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ჩვენ ვიცით, თუ როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში იმყოფებოდა ის. თქვენ ალბად კარგად იცით, თუ როგორ იყო მუშათა კლასის მდგომარეობა იქ, სადაც ბურჟუაზია ძლიერ იყო. (ასათიანი: მაგალ. ამერიკაში) თქვენ უნდა იცოდეთ ასათიანო, რომ აქ მუშათა ორგანიზაცია ძლიერია. (ასათიანი: სანამ მუშათა ორგანიზაციები ძლიერი არ იყო, მანამ მუშათა მდგომარეობა ვაცულებით უკეთესი (ყო) თქვენ მაგას სერიოზულად ლაპარაკობთ, თუ ამას სერიოზულად ამბობთ, მაშინ წაკითხული გექნებათ ან წაკითხეთ თქვენვე იდეოლოგიების წიგნები და დაინახავთ, თუ რა მდგომარეობაში იყო მუშათა კლასი საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან. ილუსტრაცია გინდა? ბაღნები მზეს აღარ ხედავენ, მუშები ფიზიკურად ნადგურდებოდნენ. თქვენ კი ზრდით ქონებას ჯიბისათვის და მუშათა კლასი იმ ზომამდე მიიყვანეთ, რომ ჯარისკაცად აღარ ვარგოდნენ და როგორ გგონიათ თქვენ თქვენი, მუშათა კლასის კანონმდებლობა დაიწყო ბურჟუაზიის კეთილი, ჰუმანიური ჰსურვილებით? სრულიად არა. როდესაც თქვენ ამხანაგები გამოვიდნენ მუშათა დასაცავად ისინი აცხადებენ, რომ მუშათა კლასი არ ვარგა სამშობლოს დასაცავად, ის ცუდი ჯარისკაცია და რომ სამშობლო უდამცველად არ დარჩეს, საჭიროა შრომის დაცვა. ამ თვალსაზრისით დაიწყო მუშათა კანონმდებლობა (ასათიანი: მოსკოვში ნახავთ, რომელიც სჯობია) ჩვენ ვიცით ორი ბალშევიზმი: ერთი, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევდა არც მრეწველობას და არც მეურნეობას ეს იყო ბურჟუაზია და მეორე, რომელმაც ყველაფერი დაანგრია, ვანადგურა, ბალშევიზმი ვერც მარცხნივ და ვერც მარჯვნივ ვერ იხიერებს. მარჯვნივ ბურჟუაზიამ დაანგრია და მარცხნივ ბალშევიზმმა მოათავა ეს დაანგრვა. (ასათიანი: საფრანგეთში არავითარი დანგრეულია) თუ თქვენ მართლა სერიოზულად გგონიათ, რომ ინგლისში, საფრანგეთში წარმოება ცოცხალია, აბრძანდით ამ ტრიბუნაზე და ამტკიცეთ, რომ იქ მეურნეობა გამაგრებულია, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ თქვენი ჯგუფობრივი ინტერესებისათვის საფრანგეთში ჩაადგეთ მეურნეობა. (ხმა: ამით რა გააკეთეს ქაქო. თვეზნა: ამით სულადრმა ძქვებმა მოაქმედეს ეს) ორში ერთი ან ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინა ევროპის ბურჟუაზიამ უნდა გაანაწილოთ ანდა უნდა სთქვათ, რომ დამნაშავენი არ ხართ და მაშინ უარი უნდა სთქვათ თავის თავზე (ასათიანი: მაშ თქვენ გაინაწილეთ მოსკოვის დანაშაული) ჩვენ ვემბრძვით მოსკოვის შედეგებს. ჩვენ ლაპარაკობთ მუშათა კლასისა არსად დაგვიანახავს, თქვენ კი არსად არ გვიანახავართ ბრძოლის ველზე. თქვენი კანონი მეურნეობა, მაგრამ ყველა მისი არგუმენტები ამტკიცებენ, რომ ეს კანონი მერყევი არ ყოფილა და ამიტომაც იყო, რომ მისი დანგრევა ვერ შევსძლებთ. ჩვენ გვებრძვიან ორივეს მხრიდან და ეს ამტკიცებს მას რომ ეს კანონი კარგი ყოფილა. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ კანონით დაკულ არის მეურნეობის და მრეწველობის ინტერესები, დაკულ არის მინიმუმი მუშათა კლასისა, რომელიც მას უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ თქვენ გინდათ მეურნეობის ინტერესები ანაცვალოთ ჯგუფურ ინტერესებს ამაში არ დავთანხმდებით. მუშათა კლასს აქვს დიდი მოვალეობა, ის გრძობს თავის მოვალეობის მთელ სიმძიმეს და მას უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლებები, რომელიც აუცილებელია წარმოების განვითარებისათვის. აქ შეგხენ პროფესიონალურ კავშირებს. შეიძლება პროფესიონალურ კავშირებს ჰქონდეს დეფექტები, შეცდომები, მაგრამ ვინა აქ ვადისტურებთ, ვაკანონებთ ამ დეგრეტებს, სრულიადაც არა პროფესიონალურ კავშირებს კი უნდა შეეცეს ის, რის მიცემაც აუცილებელი არის. თქვენ რომ სწერდეთ და იმუშავებდეთ კანონს, ვინა გამოიჩინდით მრეწველობისადმი ისეთ ლოიალობას და მიუდგომლობას, როგორიც ჩვენ გამოვიჩინეთ. მე ვგონია თქვენ რომ სწერდეთ კანონებს ის იქნებოდა არა ხალხის, ერის საკეთილდღეოდ, არამედ ჯგუფურ ინტერესები იქნებოდა დაკული (მაჭავარიანი: ცუდი წარმოდგენისა ყოფილხარა ჩვენზე), ჩვენ აქ ვლაპარაკობთ თქვენს უფროს ამხანაგებზე ევროპაში, რომელთა პოლიტიკაში პასუხის მგებელი ხართ (ასათიანი: როგორი არის თქვენი მუშების მდგომარეობა

ევროპაში, სადაც ბურჟუაზია მაგარი?) თქვენ ახსტრაქტიულად მსჯელობთ—თქვენ უნდა შეადაროთ ინგლისის მრეწველობა და მუშათა მდგომარეობა და ჩვენი მრეწველობა და მუშათა მდგომარეობა. შემიძღვ ამის ორატორი ეკამათება რა ასათიანს აღნიშნავს, რომ მ საათის სამუშაოდ ღლე სრულიად საკმარისია, რომ ამოწურულ იქნა მაქსიმუმი ენერჯისი. აქ სიტყვებს თუ ძლიერი იქნება ბურჟუაზია, მაშინ მუშათა კლასიც ძლიერი იქნება. სიტყვა ბურჟუაზია უნდა შეიკვლოს მრეწველობით, რომლებიც ერობების და ქალაქების ხელშია. შეუძღვ ეხება რა შრომის თავისუფლებას ამტკიცებს, რომ იგი ყელას მიერ უარყოფილია და ყველგან იმარჯვებს ის აზრი, რომ სახელმწიფომ უნდა დაიკვას შრომა. სიტყვის დასასრულს იმდენ გამოსტყავს ორატორი, რომ ის კანონები რომელიც აქ მოიპოვა მუშათა კლასმა, მის გონიერ პოლიტიკის წყალობით შენარჩუნებულ იქნება. (ტაში). კამათი დასრულდა. უკანასკნელი სიტყვა ეძღვება მომხსენებელ ილ. ფიცხალიაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ არ არის გასაკვირველი, რომ ასე დიდხანს იხილავს დამფუძნებელი კრება ამ კანონს. არც ერთი თანამდროვე საკითხი არ შეედარება თავისი მნიშვნელობით ამ კანონს, და იმიტომაც იყო რომ ორი წლის განმავლობაში იხილავდნენ კომისიები ამას. შემიძღვ ამის ორატორი პოლ. ლუსიგის წიგნით, რომელსაც ემყარებოდა თედო ლონტი ამტკიცებს, რომ საფრანგეთში მუშათა ორგანიზაციები პარტიულ ნიადაგზე არის დაარსებული, გაფიცვისათვის იქ ღვენიან მუშებს და სხვა. სიტყვის დასასრულს ორატორი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა შეფერადებული უნდა იყოს წარმოებასთან და ყოველივე ნაბიჯის გადადგმის დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს ის შედეგები, რაც მოყვება მას, ვინაიდან ერთ შემდარ ნაბიჯს შეუძლიან ეკონომიური კრახი გამოიწვიოს რაც დაანგრევს ჩვენს ქვეყანას. ორატორი ეხება აგრეთვე პროფესიონალურ კავშირებს და აღნიშნავს, რომ შეიძლება ბერის დეფექტები ჰქონდეს მათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კავშირები უნდა მოისპოს რომელიც ასეთ დიდ როლს თამაშობენ მუშათა კლასის ცხოვრებაში. განაგრძობა მსჯელობისა სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის მთავრობისაში შეკითხვის გამო ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციის თვითნებობისა და უკანონო მოქმედების შესახებ. იგ. გომეჩია აღნიშნავს, რომ ამ შეკითხვის აზრი არის ის რომ პოპულარო მთავრობა შესცვალოს თავისი პოლიტიკა განაპირა კუთხეებში და კერძოდ ბორჩალოს მაზრაში. მთავრობამ უნდა შეაყვაროს განაპირა ხალხის მცხოვრებთ ჩვენი სახელმწიფო მთავრობის პოლიტიკამ კი შეიძლება ქვეყანა დაღუპოსო. ორატორი ეხება წალკის რაიონის სოც. დემ. პარტიის ბიუროს და ამბობს, რომ მრავალ ბოროტმოქმედებას აქვს იქ ადგილი, რასაც ბორჩალოს მაზრის ერობა არ აქცევდა ყურადღებასო. ორატორი ასახელებს ზოგიერთ ადგილობრივ ბიუროს წევრებს, რომელთაც სხვა და სხვა ბოროტმოქმედება აქვთ ჩადენილი. სოკვიანის გამო სხდომა დაიხურა.

მინაზე უფრო სუსტია, დასასრულ ფოშმა განაცხადა: „გერმანიის ხალხს არა სურს ომი, მაგრამ 60 მილიონი ადამიანი, რომელიც გერმანიაში სცხოვრობს, ყოველთვის 60 მილ. გერმანელთა დარჩება. სწორედ ამაშია მთელი საშიშროება. ჩვენ შეგვიძლია ვაფუქუთო ზარბაზნები, მაგრამ გერმანელები ახალს ვააქვებენ.“

იტალია და ხაფანგეთი.

„ტიმისი“ აქვეყნებს სმარინიდან მოსულ დეპეშას, რომელიც იტალიისა და ბერძნების ჯარის ნაწილებს შორის აილენ ს რკინის გზის ახლო მომხდარ შეტაკებას ეხება. შეტაკების მიზეზი იყო ის, რომ ბერძნებმა დაიკავეს ნაწილი იმ ტერიტორიისა. რომელიც იტალიის ოკუპაციის გაგლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიზეზი ამ ტერიტორიის დაკერისა იყო დაცვა რკინის გზასა, რომელსაც ოსპალთა ბანდები ეცემოდნენ. იტალიელების მოთხოვნაზე, რომ დეცალათ ეს ადგილი, ბერძნებმა უარი უპასუხეს, რის შემდეგაც იტალიელებმა სროლა ასტყეს. სროლის შემდეგ ორივე მხრივ აღმოჩნდა რამდენიმე მკვდარი და დაჭრილი. ბერძნებმა შეინარჩუნეს დაკავებული ადგილები. საბერძნეთის მმართველი პირები კატეგორიულად მოითხოვენ მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ზომები აილენის რკინის გზის ხაზის დასაცავად, ვინაიდან ამაზე არის დამოკიდებული ამ რაიონში დაბანაკებული საბერძნეთისა და ინგლისის ძალების მშვიდობიანობა.

მუსტაფა ქემალი და ლენინი.

„ტიმისი“ იუწყება: კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობით მუსტაფა ქემალს გაცხოველებული დამოკიდებულება აქვს ლენინთან, რომელთანაც იგი იმუშავებს საბჭოთა მთავრობის მცირე აზიის საქმეებში ჩარევის გეგმას. ესკი-ბერში დაარსდა მუსლიმან ბოლშევიკების კომიტეტი. იგივე გაზეთი გადმოგვცემს: მოსკოვში ვაიგზანა ქემალისტთა სავანგებო დელეგაცია ხალილ ფაშის მეთაურობით. ეს დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა მთავრობასთან.

საფრანგეთის მოწოდება.

აღმოსავლეთში მყოფმა საფრანგეთის საბჭოს კომიტეტმა საფრანგეთის საზოგადოებას მიმართა მოწოდებით, ხელი შეუწყონ ფრანგულ განათლების გაძლიერების საქმეს აღმოსავლეთში. ამ მოწოდებაში ნათქვამია: ომამლე აღმოსავლეთში არსებობდა მრავალი ფრანგული სკოლები. ამ სკოლებში სწავლობდა 55,000 მოწაფე. ამ ჟამად ეს სკოლები დახურულია, მასწავლებლები კი ქვის მთელეობას, დურგლობას და სხვა ხელობას ეწევიან. საჭიროა მატერიალური დახმარება.

პარიზი. ივლ. 22, დეპუტატთა პალატამ სპეკულიაციისთან მებრძოლ კომისიისათვის დაარსა ქვეყნში, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ამ დარგში ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში ვატარებას.

გენ. ბრუსილოვი და პოდპოლკოვნიკი ემიროვი.

მოსკოვის რადიო იუწყება: საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთის ფრონტის მთავარ სარდლად აღნიშნულია გენ. ბრუსილოვი. სამხრეთ დასავლეთის ფრონტის სარდლად დანიშნულია პოდპოლკ. ემიროვი ძველი რუსი ოფიცერი. ბუდიონი ძველებურად ცხენოსანი ჯარის უფროსად და კვლავინდებურად ურიადინიკად ითვლება.

პოლონეთი.

ჟურნალი „დე-დება“ შემდეგ დეპეშას ათავსებს: ვარშავა, 13 ივლ. პოლონეთის პრესა გადმოგვცემს პოლონეთის მთავრობისა და რუსულ დემოკრატულ პარტიის შეთანხმების შესახებ. ამ დემოკრატულ პარტიაში შედიან: სახელმწიფო სათათბიროს წევრები, მეცნიერები და მწერლები. მათ შორის როდოჩევი, სავინკოვი და მარეკოვსკი. ამ ჯგუფმა რუსებსა და პოლონელებს მიმართა მოწოდებით, რომ შეერთებულად იბრძოლონ რუსეთის დამლუპველთა წინააღმდეგ, რომელნიც ენლა სცდილობდნენ პოლონეთის დახმარებას. იწვევენ რუსეთისა და პოლონეთის ხალხს შეკრან საუკუნო კავშირი.

ავანსი გერმანელ მუშებისათვის.

დეპუტატთა პალატაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პროექტი შეიტანა გერმანელ მუშათა სასურსათო საჭიროებისათვის ავანსის მიცემის შესახებ. ამით სურთ გააძლიერონ გერმანელ მუშათა შრომის ნაცოდებობა იმ ნახშირის შოვაში, რომელიც საფრანგეთს უნდა გადასცენ. 355 ხმა 169 ხმის წინააღმდეგ მილიერალის პროექტი მიიღეს.

უცხოეთი
(საინფორ. ბიუროს ცნობები).
მარშალ ფოშის განცხადება.

ბრიუსელის გაზეთ. „ესიონ ბოლვის“ ჟოანამშრომლებთან საუბრის დროს მარშალმა ფოშმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება საფრანგეთსა და ბელგიას შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ მალე დაიბთავრდება. შეკითხვაზე, რომ არ გამოიწვევს ეს უთანხმოებას ინგლისის მხრით, ფოშმა განაცხადა, რომ ინგლისი არ დარჩება უკმაყოფილო ვინაიდან ის კარგათ იცნობს ურთიერთ დაზღვევის მექანიზმს. ამ ჟამად საფრანგეთს ვერავინ ვერ დასწამებს იმპერიალიზმით ვატაკებას. დამოუკიდებელი ქვეყნები ომს მძულვარებით ხვდებიან მაშინაც კი, როდესაც მას გამარჯვება მოაქვს. მაგრამ საფრანგეთმა ყოველგვარი ზომა უნდა იხმაროს, რომ მოსაზღვრეული გერმანიის საშიშროება თავიდან აიშოროს. ერთად ერთი სიმამრე ამ აზრით არის რეინი. ამ თვალსაზრისით კავშირი საფრანგეთსა და ბელგიის შორის აუცილებელია, ვინაიდან ორივე სახელმწიფო კალკ-კალკე, აღებული, გერ-

საგარეო მისიის ცხოვრება

დასრულდა სმიტის ვილაიეტის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. საოკუპაციო ზონა პირდაპირ მიდის იტალიის საოკუპ. ზონასთან. ისინი გაყოფილია მომეანდრით.

ადრინამოვლით მოვიდა და მთელი ფრანკის მართველობა მიიღო უმადლესმა კომისარმა სახტურისმა. მასთან მოყვენ ახლად დანიშნული ადმინისტრაციის წევრები.

ჯარის მთავარსარდალმა განკარგულბა ვასცა დაკავებულ ტერიტორიის მცხოვრებთ პროდუქტით უზრუნველყოფის შესახებ.

მეფის ბრძანებით პარლამენტის რწმუნებულბა 3 თვით კიდევ გაგრძელდება.

სალონიკიდან იუწყებიან: პარიზში გამგზავრა ალბანეთის დელეგაცია ვენეციისთან შესახვედრად და საბერძნეთ-ალბანეთის სადავო საკითხების გამოსარკვევად.

პოლონეთის ელჩი ზელინსკი ათინაში მოვიდა. ის მეფემ სახეიმი აღდენციაში მიიღო. აღმოსავლეთ ფრანკის ოკუპაცია დასრულდა. ტაიარმა ვერავითარი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო, რადგან მის ავანტიურას არ მიეზნებენ.

ახალი ამბები

→ **სამხედრო ცნობა.** ბათუმის ოლქის ქოროხის იქით მხარე ჩეტნიკთა ბრძოლისაგან გაიწმინდა. დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარია.

→ **დამფუძნებელ კრების სხდომა.** დღეს 6 აგვისტოს დამფუძნებელ კრების სხდომა. კრება გაიხსნება დღის 12 ს. თუ ქვერუმი არ შესდგა მაშინ კრება დაიხურება.

→ **საქართველოს შიკრიკის დაღუპვა.** საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეატყობია: მიღებულ ცნობებით ივლისის 29 სადგურ მცხეთის ახლო მდ. მტკვარის და არაგვის შესართავთან დაიხრო მისიის დიპლომატიური შიკრიკი კელსერი, რომელიც კავკასიიდან სომხეთს მიდიოდა. ამის შესახებ ამცნეს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც დაუყოვნებლივ მიანდო საპროკურორო ზედამხედველობას ყველა იმ გარემოებათა გამოკვლევა, რომელშიც დაიღუპა საბჭოთა მისიის დიპლომატიური შიკრიკი.

→ **ბრძოლა პურის გატანის წინააღმდეგ.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება შეუდგა ყველა გზატკეცილებზე საკუთარ სადარაჯოების ორგანიზაციას, რითაც სურს პურის გატანას ხელი შეუშალოს.

→ **არმიისა და ფლოტის სათადარიგო ჯარის კაცთა აღრიცხვა.** რადგან არმიისა და ფლოტის სათადარიგო ჯარის კაცთა აღრიცხვისათვის საჭიროა წიგნების შექმნა, ამი ზომ დადგენილია საჭირო ჯამის გადადება. დამფ. კრებაში სათანადო დეკრეტი უნდა იქნას წარდგენილი.

→ **საეროლო ცხადება.** ერობათა კავშირის კომიტეტმა შევიცარულ ერთ ერთ კომპანიისაგან მიიღო წინადადება, რომ იგი დაეხმარება კომიტეტს მისი სავაჭრო ოპერაციებში ევროპის ბაზარზე.

→ **ბაგის გაგზავნა რიგს გარეშე.** ერობათა კავშირის კომიტეტმა რ. გ. ზ. სამმართველოს მიმართა შუამდგომლობით იმის შესახებ, რომ ბაგი, რომელიც კომიტეტის მიერ იგზავნება თავის გასამხედველ ადგილებში იგზავნებოდეს რიგს გარეშე, რადგან ერობათა კავშირი ემსახურება ჯარსა და გვარდიას.

→ **საქართველოს სიშიდრე.** ტფილისის ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა დამფ. კრების საპრობაგანდო კომისიას მოხსენება წარუდგინა სპეციალურ წიგნის: საქართველოს ბოტანიკური ბაღები და მცენარეულობის მოყვანის პერსპექტივების გამოცემის შესახებ. ამ წიგნში აღწერილი უნდა იყოს ტფილისის, ბათუმის და სოხუმის ბოტანიკურ ბაღების ღირსშესანიშნავი ადგილები. მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველო ფართო შესაძლებლობას ინახავს თავის არსებაში. რესპუბლიკის მთების სიშიდრე ამ ქვეყანას აღდესმე დიდ სამრეწველო ქვეყნად გადაქცევს. ჯერ-ჯერობით კი მთელი ყურადღება სასოფლო მეურნეობას უნდა მიექცეს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში მცენარეულობის მოყვანას, ამისათვის კი საჭიროა ბოტანიკურ და გეოგრაფიულ გამოკვლევის მოხდენა. საჭიროა საქართველოს ფლორის შესწავლა, უცხო სასარგებლო მცენარეულობის კლიმატიზაციის საკითხის შესწავლა და სხვ. აქვე აღმოსავლეთის ფლორის შესწავლად, რომლითაც მთელი ქვეყანა დაინტერესებული დიდძალი მასალა მოიძებნება. მო-

ხსენების დასასრულში ნათქვამია, რომ საქართველოს სამართლიანად შეუძლია იამაყოს სხვა სახელმწიფოთა შორის თავის მდიდარ ბოტანიკურ ბაღებით, რომელთა დაწვრილებითი აღწერა ჩვენთვის აუცილებელია, თუ გვინდა გავაცნოთ ევროპას და ამერიკას საქართველოს მცენარეულობის მოყვანის ბრწყინვალე პერსპექტივები.

→ **გორის აღდგენა.** იუსტიციის სამინისტრომ მთავრობაში სასწრაფოთ განსახილველად შეიტანა პროექტი დეკრეტისა, რომელიც ეხება კერძო პირთა დაუსახლებელ ადგილების ჩამორთმევას გორის სასარგებლოდ, რათა ამ ადგილებზე მომავალში სახლები ააშენონ. კანონ-პროექტი კერძო პირების იმ მამულების ჩამორთმევას გულისხმობს, რომლებიც ერობის, ნოე ჟორდანას სახელობის და მეჯვრისხევის ქუჩების გასწვრივ მდებარეობს. მიწის მებატონეთ დაუტოვებენ 1200 ოთხკ. საე. ამ ნორმის გადიდება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსართმევი ბაღი კულტურულ მამულს წარმოადგენს, და თუ ამ ჩამორთმევით ბაღის კულტურას დაზიანება არ მოეწივს. ჩამორთმეულ ადგილების მებატონეთ ამავე ღირებულების ადგილები მიეცემათ სხვა რაიონებში. ჩამორთმეულ ადგილების ღირებულების გამოსარკვევად უნდა შესდგეს შერეული კომისია, რომელშიც შეიყვანოს გორის ქალაქის თვითმართველობის, მიწის ძევისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის და ჩამოსართმევე ადგილების მებატონეების წარმომადგენლები. ამ კომისიის დადგენილება უნდა იყოს საბოლოო. დადგენილების სასამართლო წესით განსაზღვრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწის მებატონის განცხადება, რომ იგი არ არის კმაყოფილი ახალ ადგილით. ჩამორთმეული ადგილები ცალკე უზენადა იქნება დაყოფილი. თითო უბანი 400 ოთხკ. საყენი იქნება. იგი გადაეცემა უმიწაწყლოს იმ პირობით, თუ ერთი წლის განმავლობაში იგი ამ მიწაზე ააშენებს სახლს.

→ **ნავთის მრეწველობა.** ტფილისში დაბრუნდა სათბობი მასალის განმანაწილებელ ბიუროს წევრი ა. რუხაძე, რომელმაც აღრიცხა ბათუმში არსებული ნავთის პროდუქტები და ამის შესახებ მოხსენება გაუკეთა ბათუმის განსაკუთრებულ კომისარს და სათბობი მასალის განმანაწილებელ ბიუროს. მოხსენების მიხედვით ბათუმს ყოველთვიურად სჭირდება 18375 ფ. ამას გარდა ბათუმს ოქტომბრის 1-დის სჭირდება 13,570 ფ. ნავთი დენატურატი, 5000 ფ. მანქანის ზეთი და 3000 ფ. მოტორის ზეთი. გამოანავარიშებულია აგრეთვე ნავთისა და ბენზინის საჭიროების რაოდენობა გემებისა და შარა გზების სამართველოსათვის. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ წმინდა ნავთისა და ბენზინს არ იძლევიანო. ბათუმსა და მის ოლქში სულ ნავთის პროდუქტები არის: კეროსინი — 486,840 ფ. ნავთის დენატურატი 339,653 ფ., ბენზინი 2000 ფ. სულ ნავთის პროდუქტი არის 997.184 ფ. ამგვართა—თავებს მომხსენებელი თავის მოხსენებას ბათუმსა და მისი ოლქის საჭიროება დაკმაყოფილებული იქნება 5 თვის განმავლობაში. 20 ათასი ფ. ზეთი და 200,000 ფ. კეროსინი კი შეიძლება საზღვარ გარედ გავიტანოთ.

→ **კოლმეპრადიების საქიანობა.** ტფილისის კოლმეპრადიეთა კავშირმა ენერგიული ზომები მიიღო ზამთრისათვის სურსათ-სანოვავის მოსამარაგებლად: იმარაგებენ ლობიოს, კარტოფლის, მარლის და სხვა. კავშირის გამგეობის რწმუნებულნი მიემგზავრება ბათუმს, ბათუმის ბაზარზე ტფილისისათვის აუცილებელ სურსათ-სანოვავის ყიდვის საკითხის გამოსარკვევად.

→ **გორის მაზრაში სკოლების აღდგენა.** გორის მაზრის სკოლების აღდგენის საკითხის შესახებ მთავრობამ დაადგინა: ამ მოთხოვნის შემთხვევაში სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში გადაეცეს ოცო მილ. მან. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან ამის მიღებისა. დამფუძნებელ კრებაში სახალხო განათლების სამინისტრომ სათანადო დეკრეტი უნდა შეიტანოს.

→ **კირის ქარხანა.** გზათა მინისტრის მოხსენებით, მთავრობამ დაადგინა ტყიბულის მდარეობის აშენებულ კირის ქარხნის შესყიდვა.

→ **კომუნდანტის სამმართველოში.** მთავრობამ დაადგინა გზათა მინისტრის განკარგულებაში გადაეცეს საჭირო თანხა სადგურთან კომუნდანტის სამმართველოს ასაშენებლად.

ჰიდრო-ელექტრონული კონსტრუქციები

საფრანგეთის მოქალაქის ბ. გიზის შუამდგომლობა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ მდინარე ტყვიბულზე ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაშენებლად მიეცეს კონცესია, დაკმაყოფილებულია და ხელშეკრულებაზედაც ხელი მოწერილი აქვს მიწათ-მოქმედების მინისტრს ნ. ხომერავის. კონცესია მიეცემა 60 წლის ვადით, რომლის შემდეგ სადგური მთელი თავისი ინვესტირით ვადავა საქართველოს რესპუბლიკის სრულ საკუთრებად.

სადგური, რომლის ძალა უდრის ათი ათას ცხენის ძალას, უნდა გაკეთდეს სამი წლის განმავლობაში. ეს სადგური დიდ დახმარებას გაუწევს ტყვიბულის და ქათურის ქვანახშირის რაიონებს. განზრახულია ქუთაისისათვის ელექტრონულ ენერჯის მიწოდება, რომლის შემწეობით გაკეთდება ტრავაი, განათდება ქალაქი და სხვა.

სატარიფო პალატაში

პრეზიდენტის დადგენილება.

სატარიფო პალატის პრეზიდენტმა დაადგინა: 1) სალიკვიდაციაო ჯილდოსი და ზედმეტ ნაშრომისათვის ფასის განსაზღვრის დროს ერთდროული დახმარება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული; 2) დადგენილ იქნეს სამი კატეგორია ქვათურის რაიონის კოოპერატივების მოსამსახურეებისა. პირველი კატეგორია დებულობს თვეში 3000 მ.—მუორე 1500 მ. და მესამე 1000 მ.; 3) დაწესდეს ტარიფი იმ პირებისათვის, რომელნიც სურსათ-სანოვავის არ ღებულობენ. ამ ტარიფის დროს უნდა იხელმძღვანელონ ოფიციალტების ტარიფით.

ქალაქ. თვითმართველობა

ქვეშევრდომობის მიღების წესი.

ქალაქის თვითმართველობამ საქართველოს ქვეშევრდომობის მიღების წესი გამოაქვეყნა. თანახმად ამ წესისა, რომელიც ქალაქის თვითმმართველობამ დაამტკიცა, საქართველოს ქვეშევრდომობით ჩაითვლებიან ის პირნი, რომლებიც 1914 წ. ივლისის 19-მდე, ძველი სტილით, ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე იყვენ მიწერილ, რაც შეეხება იმ პირთა ქვეშევრდომობის უფლების აღიარებას, რომლებმაც ამის შესახებ შესაფერისი შუამდგომლობა აღძრეს, თანახმად მოქალაქეობის კანონის მე-6 მუხლისა, საქართველოს ქვეშევრდომობის მისაღებად საჭიროა, რომ ამ პირმა საქართველოს ტერიტორიაზე განუწყვეტლად 2 წელიწადი იცხოვროს. სათანადო შუამდგომლობა უნდა აღიძრას ადგილობრივ თვითმმართველობის წინაშე, რომელმაც თხოვნის მიცემიდან ერთი წლის ვასლის შემდეგ მოხონელს მოქალაქეობის უფლება უნდა მისცეს. ასეთი უფლება მიეცემა იმ პირს რომელიც საზოგადოებისათვის და ან სახელმწიფოსათვის საშიშარ ან მაგნე პიროვნებას არ წარმოადგენს. იმ მოთხოვნელმა, რომელიც საქართველოს ქვეშევრდომობის უფლებას ითხოვს შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განუწყვეტლივ უნდა იცხოვროს. სათანადო მოქალაქეობის მოწმობებს ქალაქში ქალაქის თვითმმართველობა იძლევა, მაზრებში კი სამაზრო თვითმმართველობები.

გუგათა ცხოვრება

მუშების გამგზავრება ბათუმში.

ავისტოს შვიდს, შაბათს, მეთამბაქეთთა პროფ. კავშირის ინიციატივით, ბათუმში მიემგზავრება მუშების ჯგუფი რიცხვით 120 კაცა. გამგზავრების მიზანია: ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოზე შემოერთების გამო მიესალმენ ბათუმის მუშებს და გაცნონ მათ ცხოვრებას. აღნიშნულ ჯგუფთან ერთად მიემგზავრებიან: ტფილისის პროფ. კავშირის წესდების თავმჯდომარე ხელაძე, პროფ. კავშირის საბჭოს სეკრეტარიატის წარმომადგენლები და სხვ. მოსამსახურეთა წარმომადგენლები. რკინის გზის სამმართველომ მუშებს ორი ვაგონი დაუთმეს.

მუშათა დელეგაცია.

სოხუმის პროფ. კავშირთა საბჭომ მიმბრ-

თა საქართველოს ცენტრალურ პროფ. კავშირს თხოვნით, რათა საბჭოთა რუსეთში მიმავალ დელეგაციაში მათ დაუთმონ ერთი ადგილი.

საქართველოს ცენტ. პროფ. კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი.

უქანასკნელ სხდომაზე დაადგინეს: 1) სატარიფო პალატაში დელეგატთა გაგზავნონ პალატის ყოფილი წევრი გრ. მეპარიანის მაგიერ პ. კავკასიძე. მუშათა სექციაში სატარიფო პალატის დელეგატთა გაგზავნონ აბდუშელიშვილის მაგიერ გრ. ხელაძე 2) ქუთაისის „მუშათა ცხოვრების“ დროებით რედაქტორათ მოიწვიონ ი. ტრემაინი.

3 ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი

დაიკარგა პასპორტი კურდატ ალი ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2083 3—3

„ცხუმ-აბხაზეთის სავაჭრო საბჭოში ჰელაგია ხოიგორ სკლიაოვის ასულმა პეხოტისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი იაკობ ტიმოტეს ძე პეხოტა, რომელთანაც ჯვარი დაიწერა 14 იანვარს 1891 წელსა, უქვალოდ დაიკარგა ათი წლის წინად, რის გამო აღნიშნული პელაგია პეხოტისა თხოვლობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგული იაკობ პეხოტას მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადოს საგვარჯიშო სასამართლოს ზემოხსენებული პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 588 3—3

დაიკარგა მოწმობა სომხეთის ქვეშევრდომობის, ტფ. უმადლეს საინჟინერო სასწავლებლის სტუდენტობის მოწმობა და მოწმობა, მიღებული საქ. რკინის გზის 1 უბნის უფროსისაგან—აკოფ მიხეილის ძე კულიჯანოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2104 3—2

დაიკარგა პასპორტი № 4089 ნაზარ არიუთინის ძე ენფიანჯინცის სახელზე, მიღებული ესპანელების საკონსულოდან. ქ. ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2107 3—2

დაიკარგა უფადო პასპორტი № 25 ალექსანდრე ისაიის ძე აიზენბერგის სახელზე, მიღებული ტფ. სამაზრო პოლიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2112 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1920 წ. 22 აპრილის დადგენილების თანახმად 951 მუხ. სისხლის სამ. წესდებისა, ეძებს ბრალდებელი იოსებ დავითის ძე თარხნიშვილს (რკინის გზის სადარაჯო მატალიონის) პირველი გუნდის ჯ. კაცს, რომელსაც ბრალი ედება მე 231 მუხ. 22 წ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. 4 ყველა ვინც იცის სად იმყოფება თარხნიშვილი ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში (ოლლა ქუჩა № 48). 839 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ბათუმის შემსახვეში № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის „აღმოსავლეთ-კავკასიის ნავთის მრეწველთა აზნაგობას“. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2101 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 332 ვასილი ერმილეს ძე მარჯანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან 1920 წელს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2103 3—2

დაიკარგა პასპორტი ისააკ კონსტანტინეს ძე პოლოსოვის სახელზე მიღებული ტფ. პოლიციის ტფილისის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2109 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული 77 სათადარიგო პოლკიდან 1917 წ., ქვათურის კოოპერატივის კვიტანცია, მიღებული კავკასის პრაპორშიკების სკოლიდან და კვიტანცია მიღებული 1917 წ. ჩერნოპიატოვის მოტოვისაგან — პრაპორშიკ კონსტანტინე ლამაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2094 3—2

დაიკარგა მასწავლებელთა კურსებზე დასწრების მანდატი № 396, მიღებული ვალის სამხარეო ერობიდან, ვალის ორკლასიანი სასწავლებლო სკოლის დამაფინანსებელი ატესტატი და ნაშახურობის ნუსხა ნიკანდარი მელიტონის ძე ანჯაფარიძის სახელზე. გაუქმებული ჩაითვალოს. 2093 3-2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაკრინე გიორგის ასული გომელაურის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციისტრის სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებული ჩაითვალოს. 2088 3-2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 235 კარაპეტ გეურკის ძე კაბაჯანიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებული ჩაითვალოს. 2074 3-3

დაიკარგა პასპორტი სიმონ გორელიშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის ქალ. თვითმმართველობიდან. გაუქმებული ჩაითვალოს. 2089 3-3

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე იაკოფის ძე ზიზიბაძის სახელზე, მიღებული შორაპნის სიერობო თემიდან 1920 წ. გაუქმებული ჩაითვალოს. 2087 3-2

დაიკარგა საბინაო დავთარი ქუთაისის ქუჩაზე № 34 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ოლკვარდას. გაუქმებული ჩაითვალოს. 2070 3-3

საქართველოს სახანო რკინის გზათა სამმართველო აცხადებს, რომ ფასდადებითი მოწოდება № 463683 15, მემო მანეთისა, ორ კუთ სპონზედ წონით 4 ფუთი გაგზავნილ ქუთაისში სატვირთო საბუთებით ნავთობლი-ქუთაისი № 116429, გაქმული სადგურ ნავთობლიდან წარმომადგენლის სახელზე დაიკარგა გაუქმებული ჩაითვალოს. 805 3-2

დაიკარგა სათადარიგო ჯარში გადაიტყვის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და პირადობის მოწოდება, მიღებული სამტრედიის კომისიისაგან მინაკაციის ძე ხუტუას სახელზე. გაუქმებული ჩაითვალოს. 2097 3-2

თავმჯდომარე ტფილისის ოლქის სასამართლოსი აცხადებს რომ ზაქათაის ოლქის ნოტარიუსი ბრონისლავე გენრიხის ძე გოლცვარდი თანახმად მისი თხოვნისა დათხოვნილია სამსასურრიდან ამა 1920 წლის თებერვლის 12-დან თანახმად ნოტარიუსური დგამულებების მე 16 მუხ., მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია მის თანამდებობის საწინააღმდეგო, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დლიდან ამ განცხადების გამოკვეყნებისა. 0268 1-1

კუონდილის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ მასში 1919 წ. აგვისტოს 25 შემოვიდა თხოვნა სენაკის მაზრის ს. ნოქალაქევის მცხოვრების ტერეზია ათანას სტურუს ასულის კოლუასი განქორწინებაზე მეულლე ვლადიმერ თეიმურაზის ძე კოლუასიან მოხსენებელი მეულენე არიან დაქორწინებული 1908 წ. აპრილის 20-ს იმერეთის ეპარქიის ხუნჭილორის მაცხოვრის ეკლესიაში მთხოვნელის ტერეზია კოლუასი განცხადებით მას განშორდა ქმარი 1908 წ. სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევისა გამო და იმ დროიდან მას, მთხოვნელს, არ აქვს თავის ქმარზე არავითარი ცნობა. ამ განცხადების ძალით ყველა, რომელმაც იცის სად სცხოვრობს ვლადიმერ თეიმურაზის ძეს კოლუასი ვალებულია აცნობოს ეს ორი თვის განმავლობაში კუონდილის საეპარქიო სასამართლოს ქ. ფოთში. 0183 1-1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ბოგდან სერგეის ძე ოგანჯანოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ევდოკია ანდრიას ასული ოგანჯანოვისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1904 წ., უკვალოდ დაიკარგა 1915 წ. ყველა, ვინც იცის ევდოკია ანდრიას ასული ვასილიევის-ოგანჯანოვის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს შემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დლიდან ამ განცხადების დაბეჭდვის ორი თვის განმავლობაში. 2079 3-1

ქ. ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალბულ ვლადიმერ (იგივე ვაგარ შაკ) აბელის ძის ამრავოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალბულის ქონებაზე მე-10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 0365 1-1

სამტრედიის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს ვადაცვალბულ ს. კულაში, ქუთაისის მაზრა, იაკობ იოსების ძე ელაშვილისა, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებები ვადაცვალბულის ელაშვილის დანაშტ. ქონებაზე აღნიშნულ 1241 მუხ. 1 ნაწ. 10 ტ. სამოქ. კან. ვადაში 2090 1-1

ქ. ტფილისის 12 და 13 სამომრიგებლო უბ. მოსამართ. ბოქაული ვაგლოვიჩი აცხადებს რომ 24 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე მეტრე უბანში ტურგენევის ქუჩაზე № 4 საჯარო ვაქრობით გაყიდული იქნება მოძრავი ქონება გარდაცვალბული ანნა მასტუგინის, რომელიც შეადგენს ტანისამოს, საცვალს და სხვა შინაურს ავეჯს, ბერტა ჩივინაევიჩისა 3472 მანეთ. ვალის დასაკმაყოფილებლად. 2126 1-1

სამოქალაქო სამართლის წარმომგმის წესდების 1453 მუხ. თანხმად, ტფილისის საოლქო სასამართლო ითხოვს იოსებ იეგორის ძე შავერდიანის (იგივე ოგესე იეგორიან შავერდიან) გამოცხადდეს სასამართლოში მარგარიტა პეტრე ასულის შავერდოვისას თხოვნის გამო, იოსებ იეგორის ძე შავერდოვის უკვალოდ დაკარგულად ცნობის შესახებ. იოსებ შავერდოვი მოვალეა ოთხი თვის განმავლობაში დლიდან ამ განცხადების გამოკვეყნების გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში განცხადდოს სასამართლოს თავის ბინა ქ. ტფილისში. თუ ეს არ იქნება ასრულბული ყველა ქალაქი, რომლებიც იქნებიან შემოსულნი მის სახელზე დატოვებულ იქნებიან სასამართლოში.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია შემდეგი საბუთები: ელენე შავერდიანის დაბადების მეტრაკის ასლი, იოსებ შავერდოვის და მარგარიტა ხოსროიანის ჯვრდაწერის მეტრაკის ასლი, ასლი მოწოდებისა მიცემულია მღვდ. რსენ ბერინიანის მიერ, მეტრაკული ამონაწერი ევ. შა ვაბრიელის ასული შავერდიანის სიკვდილის შესახებ და ასლი მოწოდებისა შავერდიანის უკვალოდ დაკარგვის შესახებ. 0477 1-1

სვირის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 1241 მუხ. 1 ნაწ. სამ. კან. 10 კრებ., იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალბულის მც. ს. ცხენთაროში, ქუთაისის მაზრისა, იერემია სოლომონის ძე კვიციანიშვილ დედა ჩრენილ ქონებაზე თავისი უფლებების განცხადებლად. 2096 1-1

ტფილისის მე-3 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალბულ ანასტასია ზურაბის ასულის ჯირკველიშვილის (დაბადებულიდან ვადიშვილი) მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჯირკველიშვილის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე 1241 მუხლ. ძალით დადგენილ ვადაში. 2110 1-1

ქიათუის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამ. საქ. წარწესდ., იწვევს ვადაცვალბულის, მცხოვ. სოფელ შექრუთში, შორაპნის მაზრა, პავლე ალექსის ძე ნეფარიძის მემკვიდრეებს, რათა უქანასკნელებმა განაცხადონ თავიანთი უფლებები მოხსენებულ ნეფარიძის დანაშტ. ქონებაზე აღნიშნულ მე X ტ. ნაწ. I, 1241 მუხ. — ექვსი თვის ვადაში. 2095 1-1

სამეგრელოს ოლქის, სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლე, იწვევს გარდაცვალბულ მცხოვრები სოფელ ქელონის, ზუგდიდის მაზრის, ვასილა კინტირიას ძე ქანტერიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ქანტერიას ქონებაზე სამოქალაქო კანონის კრებულის მეათე ტომი პირველი ნაწილი 1241 მუხლის აღნიშნულ ვადაში. 2091 1-1

ზუგდიდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს ვარდ ცვალბულ სვერიანე ალექსანდრის ძე ლუბოლას, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მის ქონებაზე, 1341 მუხლ. 10 ტ. მ. 1 ნაწ. კან. კრებ. აღნიშნული ვადაში. 0171 2-1

დაიკარგა პირადობის მოწოდება № 154 სი-საკ არაქელიანის სახელზე, მიღებული საქართველოს სახ. რკ. გზის სამმართველოდან. გაუქმებული ჩაითვალოს. 2077 3-2

საჩხერის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალბულის მცხოვრების სოფელ მერჯევში შორაპნის მაზრისა სალომე ივანეს ასულის კაპანაძის მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კაპანაძის ქონებაზე 1244 მუხ. სამოქ. კან. ტ. 10 ნაწ. აღნიშნულ ვადაში. 079 1-1

კუონდილის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ მასში 1919 წ. ივლისის 3-ს შემოვიდა თხოვნა ოზურგეთის მაზრის ს. შემოქმედის მცხოვრების დომიდე კონსტანტინეს ძე მენაბდისა განქორწინებაზე მეულლე ანნა ბონდირევის ასულთან. მოხსენებულნი მეულენე არიან დაქორწინებულნი 1908 წ. მაისის 12-ს ბაიკალის ვალა ეპარქიის მონასტრის მიძინების ეკლესიაში. მთხოვნველის განცხადებით მას ცოლი განშორდა ს. შემოქმედში 1913 წ. მაისში და იმის შემდეგ არა აქვს პირველს მერჯევზე არავითარი ცნობა. ამ განცხადების ძალით ყველა, ვინც იცის სად სცხოვრობს ანნა ბონდირევის ასული მენაბდისა, ვალებულია აცნობოს ეს ორი თვის განმავლობაში კუონდილის საეპარქიო სასამართლოს ქ. ფოთში. 0182 1-1

დაიკარგა პასპორტი № 2869 პეტრე ვლადიმერის ძე ხალაშის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებული ჩაითვალოს. 2125 3-1

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ს ივლისის 7, 9 და 13-ს №№ 150, 152 და 154 საჯერ მოთავსებულ

„გაგაზი და მერკური“ და „ვასტორნოს“

განცხადებები აუქციონით სხვა და სხვა ნივთების გყიდვის შესახებ კვიციანის №№ 50578, 77564, 77565, 338963, 187541, 270146 და 71078

საჯარო ვაჭროვის დღე 22 აგვისტო უახლოვით არის გამოცხადებული. უნდა იყოს 23 აგვისტო.

2120 1-1

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ,

რომლებს მიერ გამოგზავნილი იყო საბოძო მისაღები ვაგონებ-ციტერნებით და ნავთსაქანავ მალბით და დაკავებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აზერბეიჯანთან ომის დროს, რომ შემოიტანონ განცხადება სამ სალო გენყოფილებაში 15 აგვისტომდე ამა 1920 წლის მათ დასაკმაყოფილებლად; განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები სახელი სათბობ მასალისა და რაოდენობა, ნომერი ნაკლადნოსისა, სადგური, რომელმაც გამოავაზენა და რომელ სადგურზეა გაგზავნილი, გვარი და მისამართი მიმღებისა.

განცხადებანი იმ პირთა, რომელიც შემოიტანო იქნება უგვიანეს 15 აგვისტოსი არ იქნება დაკმაყოფილებული. 806 3-2

საქართველოს სახანო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ამა წლის 16 აგვისტოს დილის ათ საათიდან ცენტრალ საწყობში გაიყიდება გაუტრენელი საქონელი

ბაგაეი: ბაქო—სანაინი № 27595 რიგ. № 14), 6 ფ., სამტრედია—ტყვიბული № 1231210 რიგ. № 145, 1 ფ. 20 გ., მოლითი—გორი № 632) რიგ. № 169, 1 ფ. 28 გორ., ყარსი—სანაინი № 3029 რიგ. № 141, 4 ფ. 13 გ., კანკა—ბათუმი № 157788 რიგ. № 163, 35 გორ., ფოთი—ბათუმი № 84403 რიგ. № 159, 2 ფ. 15 გ., ქიათურა—ბათუმი № 24217 რიგ. № 160, 1 ფ. 5 გ., ტფ. ლისი—ბათუმი № 90873 რიგ. № 161, 30 გ., ქიათურა—ბათუმი № 23480 რიგ. № 162, 2 ფ. 5 გ., ფოთი—ბათუმი № 85485 რიგ. № 178, 12 ფ., რფილისი—ხალ სენაკი № 106419 რიგ. № 178, 1 ფ., ტფილისი—ხალ სენაკი № 109971 რიგ. № 178, 2 ფ., ფოთი—ხალ სენაკი № 87889 რიგ. № 178, 10 გ., ფოთი—ხალ სენაკი № 86989 რიგ. № 178, 1 ფ. 15 გ., აბაშა—ტფილისი № 46705 რიგ. № 152, 3 ფ. 10 გ., სანაინი—ტფილისი № 69634 რიგ. № 147, 2 ფ., ბორჯომი—რფილისი № 59329 რიგ. № 149, 2 ფ. 15 გ., ქიათისი—ტფილისი № 4013 რიგ. № 154, 1 ფ., განჯა—ტფილისი № 1659 რიგ. № 121, 10 ფ. 10 გ., ბორჯომი—ტფილისი № 58956 რიგ. 151, 1 გ.

უსაბუთოები: აქტი სად. რფილისის № 1507 რიგ. № 158, ლობო 4 ფ. 12 გ., აქტი ნოტანების № 87 რიგ. № 183, სიმინდი 13 ფ. 30 გ., აქტი ბათუმის № 45 რიგ. № 157, შაბი 30 ფ. 8 3 3-3

საქართველოს სახანო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ამა წლის 12 აგვისტოს დილის ოთხ საათიდან ცენტრალ საწყობში გაიყიდება გაუტრენელი ტვირთი:

ტვირთი: მოლითი—გომი № 127387 რიგ. № 164 გამგზავნი გ. პილიშვილი, მიმღები იგივე წისკილის ქვა 65 ფ., თელავი—ტფილისი № 734 რიგ. № 174, გამგზავნი ქ. ნოქა „შრომა“ მიმღები მ. სიკაური საზოგადოება ცარიელი ყუთი 7 ფ., აბაშა—ტფილისი № 22232 რიგ. № 173, გამგზავნი ცხ დაია—იგივე სიმინდი 5 ფ., თელავი—ტფილისი № 809, რიგ. № 172 ლევა—იგივე სიმინდი 16 ფ. 20 გ. 804 3-3